

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030494259565414

04-236/ო

04 / აგვისტო / 2014 წ.

„2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის N04-463/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 31 ივლისის N01/65117 (N04/62089, 21.07.2014 წ.) წერილის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/6 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის N04-463/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N23 დანართი შეიცვალოს ამ ბრძანებაზე თანდართული იგივე ნომრის მქონე დანართით (დანართი N23);

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ ანგარიშგების ფორმებს


დაემატოს ბრძანებაზე თანდართული ფორმა N28 და აღნიშნული ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ა) „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ საანგარიშო პერიოდში სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმები (დანართი N1-21; N28);“.

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული N23 ფორმით ანგარიშგება მიმწოდებლების მხრიდან განხორციელდეს 2014 წლის 1 აგვისტოდან, ხოლო N28 ფორმით – 2014 წლის 1 ივლისიდან გაწეულ მომსახურებაზე.

3. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ssa.gov.ge.

ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ 

გაიოზ თალაკვაძე